დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის

2020 წლის 8 ივნისის №01-02/99 ბრძანებით
(ცვლილება შესულია 04/06/2021 წ. N01-02/140)

სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება კოლეჯში (ქ. ბათუმი ლერმონტოვის 92ა), მათ შორის კოლეჯის შუახევისა (დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. N8) და ქედის (დაბა ქედა, წერეთლის ქ. N4) მუნიციპალიტეტების მისამართზებზე დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი პირების (შემდგომში ვიზიტორი) უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა (დასაქმებულების შემთხვევაში) და პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები.
2. წინამდებარე დოკუმენტის ამოქმედების მიზანს წარმოადგენს კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფთათვის უსაფრთხოების, პირველადი დახმარების აღმოჩენის და კოლეჯში დასაქმებული პირების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
3. კოლეჯის ყველა თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ითანამშრომლოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან, დაემორჩილოს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ წესებს და შეასრულოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული მითითებები.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების საფუძველი

1. კოლეჯი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელობს შემდეგი საკანონმდებლო აქტებითა და შიდა რეგულაციებით:

- საქართველოს კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება ,,№370 - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს კანონი ,,თამბაქოს კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ შინაგანაწესი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანება.

მუხლი 3. უსაფრთხოების დაცვის რეგულირება და პასუხისმგებელი პირები

1. დასაქმებული პირების შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული სტუდენტების, მსმენელების უსაფრთხოების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები მოიცავს:

1.1. კოლეჯის, როგორც დამსაქმებლის ვალდებულებების შესრულებას უსაფრთხოების

დაცვის მიზნით;

1.2. კოლეჯის, როგორც საგანამანთლებლო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას;

1.3. დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და კოლეჯის ვიზიტორების მიერ წინამდებარე წესით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესების დაცვას.

2. კოლეჯი ვალდებულია:

2.1 დაიცვას უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;

2.2 დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს შეუქმნას შრომისა და სწავლისთვის უსაფრთხო გარემო;

2.3 უზრუნველყოს კოლეჯის სასწავლო და სამუშაო ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოება;

2.4 დუალური პროგრამების, ასევე, კომპანიის ბაზაზე პროგრამის, მათ შორის, პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პარტნიორთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში გაითვალისწინოს საწარმოს ბაზაზე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უსაფრთხო სამუშაო გარემოში სწავლების საკითხები.

2.5 იზრუნოს მუშაობისა და სწავლის პროცესში საფრთხის შემცველი ფაქტორების იდენტიფიცირებაზე, შემცირებასა და აღმოფხვრაზე;

2.6 არ დაუშვას სამუშაოზე და სასწავლო გარემოში ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური და ფსიქოტროპული სიმთვრალის ქვეშ მყოფი პირი;

2.7 უზრუნველყოს შრომის დაცვისა და მონიტორინგის სისტემების გამართული ფუნქციონირება;

2.8 საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს კომუნიკაცია სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან;

2.9 საჭიროების შემთხვევაში,უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და ევაკუაციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

2.10 უზრუნველყოს უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგების, კონსულტაციების, სიმულაციების ორგანიზება, წელიწადში მინიმუმ ერთჯერ.

3. პერსონალი და პროფესიული სტუდენტი/ვალდებულია:

3.1 დაიცვას უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;

3.2 დაესწროს დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ უსაფრთხოების შესახებ საინფორმაციო შეხვედრებს, ტრენინგებს, მონაწილეობა მიიღონ სიმულაციაში;

3.3 დაიცვას შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებები და რეკომენდაციები უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

3.4 არ შემოიტანოს კოლეჯის ტერიტორიაზე აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებები;

3.5 არ გამოცხადდეს კოლეჯში ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;

3.6 დაემორჩილოს კოლეჯის ტერიტორიაზე, სამუშაო და სასწავლო გარემოში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.

4. **კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორი ვალდებულია:**

4.1 არ შემოიტანოს კოლეჯის ტერიტორიაზე აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებები;
4.2 არ გამოცხადდეს კოლეჯში ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;
4.3 დაემორჩილოს კოლეჯის ტერიტორიაზე, სამუშაო და სასწავლო გარემოში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.

5. **კოლეჯის ტერიტირიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:**

5.1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი - შრომის, სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების მიმართულებით;
5.2 მედდა - პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ღონისძიებების მიმართულებით;
5.3 პროფესიული განათლების მასწავლებლები (სასწავლო გარემოში, მათ მიერ მეცადინეობის ჩატარების პროცესში)
5.4 დარაჯი - შენობის (ქ. ბათუმი, ლერმონტოვის 92ა) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მისი სამსახურეობრივი ინსტრუქციების ფარგლებში;
5.5 დაცვის სამსახური - შენობების (დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. N8; დაბა ქედა, წერეთლის ქ. N4) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია, კოლეჯის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული დაცვის მომსახურების გაწევაზე უფლებამოსილი, შესაბამისი დაცვის სამსახური.

მუხლი 4. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა:

1. კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება.
2. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია აკონტროლოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ვარგისიანობის ვადა და ვადის გასვლამდე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე დირექტორს.
3. ხანძრის შემთხვევაში კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი თითოეული პირი ვალდებულია:

3.1 დაუყოვნებლივ აცნობოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ნომერზე 112 (ამასთან, აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, აგრეთვე შეატყობინოს თავისი გვარი, სახელი), ასევე კოლეჯის ხელმძღვანელობასა და

შესაბამის პასუხისმგებელ პირს, ხოლო ხანძრის გაჩენის რისკის (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) შემთხვევაში აცნობონ კოლეჯის მატერიალური რესურსების კოორდინატორს.საჭიროების შემთხვევაში გამორთოს ელექტროენერგია, შეაჩეროს გადასატანი მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობა, გაზის, ორთქლის და წყლის კომუნიკაციები, შეასრულოს სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;

3.2 შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ადამიანთა ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და სხვ. შესაბამისი სამაშველო სამსახურის მითითების შემთხვევაში.

4. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:

4.1 კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, გაატაროს საჭირო ღონისძიებები შესაბამისი (მთავრობის დადგენილება ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ“) რეგულაციების ფარგლებში;
4.2 შემხვედრ საჭიროებებზე საპასუხოდ იმოქმედოს დაუყოვნებლივ, დირექციასთან შეთანხმების გარეშე;
4.3 ისარგებლოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დადგენილი რეგულაციებით;
4.4 მოსთხოვოს კოლეჯში დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, ვიზიტორებს მისი მართლზომიერი მითითებების შესრულება.

5.უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

5.1 შენობაში საფრთხის რისკები დაიყვანოს მინიმუმამდე;
5.2 კოლეჯში დასაქმებულთათვის და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისთვის ორგანიზება გაუკეთოს სწავლებას/შეხვედრებს/ტრენინგებს სახანძრო უსაფრთხოებისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
5.3 იქონიოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით;
5.4 დამატებითი რესურსების აუცილებლობის შემთხვევაში დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს დირექტორს;
5.5საჭიროებისამებრ უზრუნველყოს თანამშრომლების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება სახანძრო უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით.

მუხლი 5. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა:

1. კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კანონმდებლობით დაშვებული პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას.
2. პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი (შემდგომში კაბინეტი) განთავსებულია კოლეჯში შენობის სასწავლო პერიმეტრზე.
3. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით.
4. კაბინეტის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ დანიშნული პასუხისმგებელი პირი - კოლეჯის მედდ(ა)ები.

6. კოლეჯში დასაქმებულები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ინფორმირებულნი არიან კაბინეტის მდებარეობისა და ფუნქციონირების შესახებ. კოლეჯის შენობაში ყველა სართულზე გამოკრულია კაბინეტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პასუხისმგებელი პირის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი ზომების მიღებას.

7. კოლეჯის მედდა ვალდებულია:

7.1 გაუწიოს კოლეჯის თანამშრომლებს, პროფესიულ სტუდეტებს, მსმენელებს (საჭიროების შემთხვევაში ვიზიტორები) ჯამრთელობის დაზიანების შემთხვევაში (საწარმოო ტრავმა, ნებისმიერი სახის დაზიანება მიღებული პრაქტიკის დროს) პირველადი გადაუდებელი დახმარება, ხოლო მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს სასწრაფო დახმარების გამოძახება;
7.2 უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები რეკომენდაციებით პირადი ჰიგიენის შესახებ;
7.3 წერილობით მოითხოვოს პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტები კაბინეტის შესაბამისი რესურსით უზრუნველყოფის მიზნით;

მუხლი 6. საგანგებო სიტუაციების - ინფექციური დაავადებების დროს კოლეჯის მიერ გასატარებელი ღონისძიებები:

1. საგანგებო სიტუაციების - ინფექციური დაავადებების გავრცელების ან/და გავრცელების რისკის არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია გაატაროს პრევენციული ღონისძიებები პერსონალისა და სტუდენტების/მსმენლების, კოლეჯის ვიზიტორების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით;
2. საგანგებო სიტუაციების, ინფექციური დაავადებების გავრცელების ან/და გავრცელების რისკის არსებობის შემთხვევაში კოლეჯის დირექცია ხელმძღვანელობს პასუხისმგებელ ორგანოთა მიერ გაცემული შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე, რომლის კოლეჯში დანერგვის მექანიზმი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

1. სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია მტკიცდება და მასში საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის ინიცირება შეუძლიათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც არგუმენტირებული მოთხოვნით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს.
3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.